ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 346

“ 15 ” სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №87-95-ის მიმდებარედ არსებული 1832 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.014.027) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „დრაი ლაინისთვის“ (ს/კ 406080725) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №87-95-ის მიმდებარედ არსებული 1832 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.014.027) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „დრაი ლაინისთვის“ (ს/კ 406080725) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 16 აგვისტოს №30.10.602 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №87-95-ის მიმდებარედ არსებული 1832 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.04.014.027) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დრაი ლაინისთვის“ (ს/კ 406080725) გადაცემაზე, კიბის მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 060 (ათას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**